ო ქ მ ი N7

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2022 წლის 12 აგვისტო

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 31 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 31 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ხობი საქართველოსთვის" რეგისტრაციის გაუქმების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ბ. შონია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი);

3. „---------- ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

4. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2022-2023 წლებში დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: გ. ჩაბალუხა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

5. „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ გაღმა საჯიჯაოს საჯარო სკოლისთვის ილია ქვარცხავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე"განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

6. „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N2 საჯარო სკოლისთვის ილია ქვარცხავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 აგვისტოს N21 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 31, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ხობი საქართველოსთვის" რეგისტრაციის გაუქმების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ხობი საქართველოსთვის" რეგისტრაციის გაუქმების შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. იოსავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ საკრებულოს ფრაქცია „ხობი საქართველოსთვის" წევრებმა, რომლებიც წარდგენილი იყვნენ პარტია „საქართველოსთვის" სიით, უღალატეს პარტიას და დაშალეს ფრაქცია, რის გამოც პარტიიდან გარიცხულ იქნა ნ. შუშანია და მ. ჩარტია. ამასთან მიმართა სხდომის თავმჯდომარეს, რომ მისთვის გადაეცათ მიმდინარე სხდომის ვიდეოჩანაწერის სრული ვერსია.

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განმარტა, რომ შესაბამისი განცხადებით მომართვის შემთხვევაში, გადაეცემოდა მიმდინარე სხდომის ვიდეოჩანაწერის სრული ვერსია (DVD – დისკი).

მცირეოდენი რეპლიკის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხობი საქართველოსთვის" შემადგენლობა დატოვა ფრაქციის 2 წევრმა ნ. შუშანიამ და მ. ჩარტიამ. საქართველოს კანონმდებლობით ფრაქციის შემადგენლობაში სამზე ნაკლები წევრის დარჩენის შემთხვევაში, ფრაქცია ითვლება გაუქმებულად. ამ მოთხოვნის შესაბამისად კომისიის მიერ მომზადდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ფრაქციის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ, რომელიც საკრებულოს წარედგინება ცნობის სახით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი წარდგენა ცნობის სახით.

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი ცნობად იქნეს მიღებული

(განკარგულება N14 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ბ. შონია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

მოისმინეს: ბ. შონია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. იოსავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ რა საჭირო იყო საკრებულოს თავმჯდომარის მე-3 მოადგილის არჩევა, როცა საბიუჯეტო ხარჯების გაზრდის ტავიდან აცილების გამო, უარი ეთქვათ საკრებულოს წევრებს გაწეული ხარჯების ანაზღაურების გაზრდის თაობაზე.

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განმარტა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის მე-3 მოადგილის არჩევას, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ითვალისწინებდა და ეს პროცედურა ხორციელდება კანონის შესაბამისად.

მ. იოსავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ წინასწარ იცოდა საკრებულოს თავმჯდომარის მესამე მოადგილედ ვინ იქნებოდა არჩეული და მან თავის ყოფილ თანაგუნდელს (ნ. შუშანია) ღალატში დასდო ბრალი.

ნ. შუშანია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ არ აპირებდა დებატებში შესვლას ყოფილ თანაგუნდელთან.

დებატების დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი ცვლილებები: 69,2 ათასი ლარით იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები, კერძოდ: 69,2 ათასი ლარი შემოსავალი მუხლიდან „გრანტები“ (მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად). ასევე 2022 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან ხორციელდება 573,7 ათასი ლარის ასახვა, აქედან: 13,7 ათასი ლარი ცენტრალური ბიუჯეტის ასიგნება და 560,0 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნება; ნაშთის 573,7 ათასი ლარი და შემოსულობების ზრდით მიღებული ასიგნებები 69,2 ათასი ლარი (ცენტრალური

ბიუჯეტი), სულ 642,9 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია" ასიგნებაზე 560,0 ათასი ლარი, აქედან: 560,0 ათასი ლარი პროგრამის ,,რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება" და პრიორიტეტის „განათლება" ასიგნებაზე 82,9 ათასი ლარი, მიიმართება - პროგრამის ,,საჯარო სკოლების დაფინანსება" ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის N1 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის რეაბილიტაციის სამუშაოები. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N68 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 30, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. იოსავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N11 ოქმს თან ერთვის)

3. „---------- ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე აირჩევა იგივე პრინციპით, რა პრინციპითაც აირჩა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, კანონით მინიჭებული ამ უფლებამოსილების ფარგლებში, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ დაასახელა ნუგზარ შუშანიას კანდიდატურა და

სთხოვა საკრებულოს აპარატს მოემზადებინა წარმოდგენილი კანდიდატის არჩევასთან დაკავშირებით საკრებულოს მიერ დამტკიცებული საარჩევნო ბიულეტენები და იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიასთან ერთად უზრუნველყო საარჩევნო პროცედურების განხორციელება, რისთვისაც გამოაცხადა შესვენება 30 წუთით.

შესვენების შემდეგ

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს (მ. თათარიშვილი) წარმოადგინა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების შედეგების ოქმი

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო, საკრებულოს მესამე მოადგილის არჩევნების შედეგები (ოქმს თან ერთვის) და განაცხადა, რომ სიაში შეტანილი იყო ნუგზარ შუშანიას კანდიდატურა. ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 22-მა წევრმა, შესაბამისად გაიცა 22 ბიულეტინი, ყუთის გახსნისას აღმოჩნდა 22 ბიულეტინი. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატის ნუგზარ შუშანიას სასარგებლოდ ხმა მისცა საკრებულოს 21-მა წევრმა, წინააღმდეგი - 0, ბათილი - 1-ი. ფარული კენჭისყრის შედეგებით ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ ხმების უმრავლესობით არჩეულ იქნა ნუგზარ შუშანია და წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ ნუგზარ შუშანიას არჩევის შესახებ“ (ოქმს თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს: ნ. შუშანია - ახლად არჩეულმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს ნდობის გამოცხადებისთვის და გნაცხადა, რომ მაქსიმუმს გააკეთებს მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ.

ლ. ბუსქანძე - მოქალაქემ კითხვით მიმართა სხდომის თავმჯდომარეს, რა საჭირო იყო მესამე მოადგილის არჩევა, როცა სხვა მუნიციპალიტეტებში არ არის არჩეული მესამე მოადგილე?

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ როგორც ზემოთ განაცხადა კანონით იყო განსაზღვრული სამი მოადგილის არჩევა, გამომდინარე აქედან საჭიროდ იქნა მიჩნეული მესამე მოადგილის არჩევა, რაც შეეხება სხვა მუნიციპალიტეტებს, ყველა მუნიციპალიტეტში არჩეულია მესამე მოადგილე.

(განკარგულება N15 ოქმს თან ერთვის)

4. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2022-2023 წლებში დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის

პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: გ. ჩაბალუხა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: გ. ჩაბალუხა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2022-2023 წლებში დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარეს (ბ. მამაცაშვილი) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ბ. მამაცაშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა წინადადება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2022-2023 წლებისთვის განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, რაც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფისათვის უნდა წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. პროექტების ინიციირება იწყება წინადადების მოწონების თაობაზე საკრებულოს გადაწყვეტილებით, რისთვისაც ამ ეტაპზე მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2022-2023 წლებში დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ქარდავამ, იოსავა, ი. ზაქარაია, ი. ჯიშკარიანი, ჯ. ჯიშკარიანი, ლ. ალანია, ლ. ლაშხია, ვ. ფოცხორაია, მ. ხუხია, ფ. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N16 ოქმს თან ერთვის)

5. „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ გაღმა საჯიჯაოს საჯარო სკოლისთვის ილია ქვარცხავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ გაღმა საჯიჯაოს საჯარო სკოლისთვის ილია ქვარცხავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე" და კომისიის ერთიანი დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წერრიგით წარმოდგენილ მე-6 საკითხთან დაკავშირებით (მასალები ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს ილია ქვარცხავას სახელობის N2 საჯარო სკოლის დირექტორის მიერ საკრებულოში წარმოდგენილ იქნა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, სადაც განხილულია სამეურვეო საბჭოს ინიციატივა სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს ილია ქვარცხავას N2 საჯარო სკოლისთვის სახელის შეცვლის შესახებ. „ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულად დაყოფის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 აგვისტოს N13 დადგენილების თანახმად, საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის გაყოფის შედეგად გაღმა საჯიჯაო ჩამოყალიბდა ცალკე დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად. ზემო აღნიშნულის გამო სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სკოლის სახელწოდების ცვლილება და შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბება: „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ გაღმა საჯიჯაოს ილია ქვარცხავას სახელობის სკოლა". შესაბამისად ძალადაკარგულად გამოცხადდება „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N2 საჯარო სკოლისთვის ილია ქვარცხავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 აგვისტოს N21 განკარგულება. საბოლოო

გადაწყვეტილების მიღების მიზნით სახელდებასთან დაკავშირებული ინიციატივა, სამეურვეო საბჭოს მიერ წარედგინება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ბ. მამაცაშვილი, მ. იოსავა, ი. ზაქარაია, ი. ჯიშკარიანი, ჯ. ჯიშკარიანი, ლ. ალანია, ლ. ლაშხია, ვ. ფოცხორაია, მ. ხუხია, ფ. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N17 ოქმს თან ერთვის)

6. „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N2 საჯარო სკოლისთვის ილია ქვარცხავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 აგვისტოს N21 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N2 საჯარო სკოლისთვის ილია ქვარცხავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 აგვისტოს N21 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ბ. მამაცაშვილი, მ. იოსავა, ი. ზაქარაია, ი. ჯიშკარიანი, ჯ. ჯიშკარიანი, ლ. ალანია, ლ. ლაშხია, ვ. ფოცხორაია, მ. ხუხია, ფ. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N18 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2022 წლის 12 აგვისტოს სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. ლევანი ლიპარტია
5. დოდო გაბუნია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ბექა მამაცაშვილი
8. მედეა თათარიშვილი
9. მალხაზი იოსავა
10. ია ჯიშკარიანი
11. აკაკი მალანია
12. ბადრი რიჟამაძე
13. ჯანსუღი ჯიშკარიანი
14. ფელიქსი წურწუმია
15. ნუგზარ შუშანია
16. ლელა ადანაია
17. ლევანი ლაშხია
18. გივი ლატარია
19. კობა გერგაია
20. აკაკი ხურცილავა
21. გიორგი გვასალია
22. ირაკლი ზაქარაია
23. ბექა ხარბედია
24. ვეფხვია ფოცხორაია
25. გურიელ ქარდავა
26. მოგელი ხუხია
27. სერგო ბერაია
28. მაკა ჩარტია
29.დიტო ხასია
30. ფრიდონი კუკავა
31. მზია ლემონჯარია